

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს კანონის პროექტზე “საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე”

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზანი: საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანა განპირობებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში დაგეგმილი რეორგანიზაციის განხორციელებით, რომლის მიხედვით, გათვალისწინებულია ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის, საბაჟო დეპარტამენტის და ფინანსური პოლიციის გაერთიანება და მათ საფუძველზე ერთიანი შემოსავლების სამსახურის შექმნა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი: კანონპროექტის მიზანია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის, საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტების შემოსავლების სამსახურად გაერთიანებასთან დაკავშირებით საქართველოს საგადასახადო კოდექსის ნორმების შესაბამისობაში მოყვანა ფინანსთა სამინისტროს ახალ სტრუქტურასთან.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში მიმდინარე რეორგანიზაციით, ფინანსური პოლიციის, საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტების შერწყმით, იქმნება ახალი ორგანო – შემოსავლების სამსახური, რომელიც შეითავსებს ზემოხსენებული სამივე დაწესებულების ფუნქციებს. აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელი ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა. კერძოდ, პროექტი ითვალისწინებს საგადასახადო კოდექსის სათანადო ნორმებში “საგადასახადო დეპარტამენტის” ჩანაცვლებას “შემოსავლების სამსახურით”.

კანონპროექტით გათვალისწინებულია აგრეთვე საგადასახადო დავების განხილვის ახლებური მექანიზმი და პროცედურები. კერძოდ, ნაცვლად დღეს არსებული დავების განხილვის 3 ინსტანციისა გათვალისწინებულია ფინანსთა სამინისტროს სისტემაში გასაჩივრების მხოლოდ ორი ინსტანცია, თუმცა თითო ინსტანციას განხილვის ვადა გაეზრდება 15-დან 20 კალენდარულ დღემდე.

უფრო დეტალურად გაიწერა დავის განხილვის ზოგადი წესები. დავის განხილვისას გამოიყენება მხოლოდ საგადასახადო კანონმდებლობა. მოცემულია იმ შემთხვევების ჩამონათვალი, როდესაც საჩივარი განუხილველად დარჩება. შესაძლებელი იქნება უკვე გადაწყვეტილი დავის განხილვის განახლება ახლად აღმოჩენილი გარემოებების წარმოდგენის შემთხვევაში, ამასთან აღნიშნული გარემოებების დროულად წარმოდგენლობა მხოლოდ მაშინ იქნება საპატიოდ მიჩნეული, თუ მათი წარმოდგენა არ მომხდარა მომჩივანის ბრალით. დავების განხილვის საბჭოს რეგლამენტით დარეგულირდება აგრეთვე დავების განხილვისა და სხდომის მიმდინარეობის, წევრის ჩანაცვლების საკითხები. საბჭოს ექნება უფლება შექმნას ქვეჯგუფები მის მიერ განსაზღვრული დავების განხილვისათვის.

საგადასახადო მოთხოვნა შეიძლება გასაჩივრდეს 15 დღის ვადაში შემოსავლების სამსახურში. შემოსავლების სამსახური საჩივარს იხილავს 20 დღის ვადაში. შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს 10 დღის ვადაში მისი გამოცხადებიდან. იგივე ვადებია დადგენილი დავების განხილვის საბჭოში დავების განხილვისათვის. ანუ განსხვავებულად აითვლება დავების განხილვისას მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების ვადა, ამასთან ნაცვლად 5 დღისა გადამხდელს მიეცემა 10 დღე გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის.

კიდევ უფრო დაზუსტდა, რომ საგადასახადო კოდექსით მოცემული ვადები გამოიყენება საგადასახადო დავის დროს მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრებისათვისაც.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი სახსრების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტს მიღება ფისკალურად ნეიტრალურია, იგი გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტით მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ზეგავლენას ფინანსურ შედეგებზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით არ არის გათვალისწინებული გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრა.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

მათ მონაწილეობა არ მიუღიათ კანონპროექტის შემუშავებაში.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტი არ ყოფილა წარდგენილი ექსპერტებისათვის.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს მთავრობა